



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 10 ნოემბერი

**დისციპლინური საქმე №172/19  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2019 წლის 7 ოქტომბრის №172 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 23 ოქტომბრის №438/172-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ გააჭიანურა საქმის განხილვა და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

**2.1.** 2017 წლის 31 აგვისტოს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს მოპასუხის, სსიპ --- №- საჯარო სკოლის მიმართ და სსიპ --- №- საჯარო სკოლის 2 ივნისის დისციპლინური კომიტეტის სხდომის №- ოქმის და იმავე სკოლის დირექტორის №- ბრძანების გაუქმება, მისი სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე --- --.

2017 წლის 5 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

**2.2.** 2017 წლის 14 სექტემბერს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს მოპასუხის, სსიპ --- №- საჯარო სკოლის მიმართ და სსიპ --- №- საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის №- ოქმის, იმავე სკოლის დირექტორის №- ბრძანების და სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის №- ოქმის ბათილად ცნობა მოითხოვა. 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინებით სარჩელის ავტორს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე --- --.

**2.3.** 2017 წლის 5 ოქტომბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის, სსიპ -- №-საჯარო სკოლის მიმართ და მისი სამუშაოზე აღდგენა, გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმება და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა. საქმე განსახილველად მოსამართლე -- -- გადაეცა.

2017 წლის 20 ოქტომბერს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2017 წლის 3 ნოემბერს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და საქმის განხილვის ჩანიშვნა ითხოვა. 2017 წლის 8 დეკემბერს საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და -- -- სასამართლოში მისი საქმის განხილვის დაჩქარება ითხოვა. აღნიშნული განცხადება -- -- სასამართლოს მოსამართლეს, -- -- გადაეცა 2017 წლის 15 დეკემბერს.

2018 წლის 22 იანვარს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2018 წლის 2 თებერვლის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 13 თებერვალს.

2018 წლის 13 თებერვლის მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლე -- -- განიხილა მხარეების შუამდგომლობები საქმეში კონკრეტული პირების მესამე პირად ჩართვის, მოწმეების დაკითხვის და სსიპ -- №- საჯარო სკოლის დირექტორის, -- -- საქმეში მოპასუხედ ჩართვის თაობაზე. საქმის განხილვა გადაიდო 2018 წლის 9 მარტს.

2018 წლის 23 თებერვალს მოპასუხემ, -- -- სასამართლოში წარადგინა შესაგებელი. საქმეზე ჩატარდა კიდევ 2 სასამართლო სხდომა, 2018 წლის 9 მარტს და 30 მარტს.

2018 წლის 30 მარტის სხდომაზე საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2018 წლის 20 აპრილს. 2018 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით (მხარეებს შესაბამისი წესით ეცნობათ საქმეზე სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღის შეცვლის თაობაზე) სარჩელის ავტორს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. 2018 წლის 19 აპრილის დასაბუთებული გადაწყვეტილება -- -- ჩაბარდა 2018 წლის 10 მაისს.

2018 წლის 18 მაისს -- -- -- სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. 2019 წლის 22 აპრილის განჩინებით აპელანტს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, -- -- სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა. -- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 22 აპრილის განჩინება -- -- გაასაჩივრა საკასაციო წესით. წინამდებარე დასკვნის მომზადების დროისათვის საქმის განხილვა საქართველოს უზენაეს სასამართლოში არ დასრულებულა.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 5 დეკემბრის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს

კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე. ამავე კოდექსის 244-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

ამდენად, მოსამართლე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას, მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლეთა მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი

უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 5 დეკემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

შეწყდეს -- -- 2019 წლის 7 ოქტომბრის №172 საჩივრის საფუძველზე არსებული დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
**დამოუკიდებელი ინსპექტორი**